გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 92
(11 651)

26 - 28 ნოემბერი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გამოთხოვება კახი ასათიანთან





ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა



**ქართულმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ და არა მხოლოდ მან, კვირას მშობლიურ მიწას მიაბარა კახი ასათიანი. დაბნეული, გაოგნებული, დამცირებული და შეცბუნებული ეთხოვებოდა დედაქალაქი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სპორტის სასახლეში შეკრებილი ხალხი გამორჩეულ პიროვნებას, სპორტსმენს და ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეს კახი ასათიანს. ეს ვერაგული მკვლელობა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს! ასეთი იყო მგლოვიარე ხალხის საერთო გულისთქმა.**

## სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანსულ ბაგრატიონს

პატივცემულო ჯანსულ ირაკლის ძევ!

ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო!

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა შესანიშნავი ადამიანისა და ჩინებული სპორტსმენის კახი ასათიანის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით. კახი ასათიანი, დიდებულ თბილისის „დინამოში" გამოდიოდა თუ საბჭოთა ნაკრებში, იყო ფეხბურთის მილიონობით საბჭოთა გულშემატკივრის კერპი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რა საქართველოს სპორტულ-ფიზკულტურულ მოძრაობას, მან დიდი ძალა შეალია სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.

კახი ასათიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ვგლოვობთ თქვენთან ერთად.

**ლეონიდ ტიაგაჩევი,**
რუსეთის ფედერაციის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

## «ლელოს» რედაქციას!

შეშფოთებითა და უდიდესი გულისტკივილით შევიტყვე ყველასთვის და ჩემთვის ასე ძვირფასი პიროვნების, კახი ასათიანის მუხანათური მკვლელობის ამბავი. ჩვენ ვიყავით დინამოელი სპორტსმენები და შემდეგაც ერთად ვმუშაობდით ამ სპორტსაზოგადოებაში. ეს იყო სულით ნათელი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, მე ვიტყოდი, ჭეშმარიტი რაინდი ყველა საუკეთესო თვისებებით.

ამ დღეებში აქ, მოსკოვში, ყველა თითქმის ამ ტრაგედიაზე ლაპარაკობს. ყველა წუხს და შეძრწუნებულია.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის მეშვეობით ღრმა სამძიმარი გამოვუცხადოთ განსვენებულის ოჯახს.

**ვალერიან (სულიკო) როგავა,**
ვეტერანი თანამედროვე ხუთჭიდელი, მოსკოვი.

## „ლელოს" რედაქციას!

მივესალმები და მხარს ვუჭერ გაზეთ „ლელოს" რედაქციის ინიციატივას — სპორტში მომეცადინესათვის ოსტატობის და კვალიფიკაციის მოთხოვნათა განმსაზღვრელი ნორმატივების, მაღალი, სპორტული მიღწევებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ჩვენმა სპორტულმა ორგანიზაციებმა, ფედერაციებმა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, რაც შეიძლება მალე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ამ საქმის მოგვარებისათვის.

დამოუკიდებლობის ძნელ და რთულ გზაზე მიმავალ ჩვენი სამშობლოს ყველა მოქალაქის და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის **არანაკლებ მნიშვნელოვანია** მათი ყოველდღიური

## გამოხმაურება წერილზე „ერთად ვიმსჯელოთ"

ფიზიკური წრთობის, ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და სიმხნევის შენარჩუნებისათვის ზრუნვა **სახელმწიფოებრივ** საქმედ და ვალდებულებად ვაქციოთ. მიზანშეწონილად უნდა გამოვიყენოთ გასული წლებისა და სხვათა გამოცდილება — **საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური მომზადების ერთიანი მოთხოვნათა სისტემა ეროვნულ ვარჯიშობათა გამოყენებით** პირობითად მას შეიძლება ეწოდოს **„მზად ვარ სამშობლოს სამსახურისათვის" „მვსს".**

ამ კომპლექსის შესრულება სავალდებულო გავხადოთ სკოლადამთავრებულთათვის, **უმაღლეს სკოლაში შემსვლელთათვის,** ისე როგორც ეს იყო ადრე. მაშინ ვნახოთ როგორ გაივსება ყველა სპორტული ბაზა მოვარჯიშეებით, რაც, ნახავთ, რამდენი უბედურობისგან იხსნის ჩვენს მომავალ თაობას...

ვთხოვ საქართველოში არსებულ ყველა სპორტული გაზეთის რედაქციებს — გულისხმიერად (ისე, როგორც მათ ეს სჩვევიათ) მოეკიდონ ამ ეროვნულ საქმეს. გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები.

**ბივი ხაჩიძე,**
დოცენტი, გორის სახ. უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის დეკანი, სეოკ-ის შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## ჩემპიონთა ლიგა

### დღეს ჩემპიონთა ლიგის მორიგი ეტაპი იწყება

**დღეს იწყება ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი.** ფეხბურთის გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს C ჯგუფის შეხვედრა მილანში, სადაც კახი კალაძე და მისი თანაგუნდელები მადრიდის „რეალს" დაუპირისპირდებიან.

„მილანმა" წლევანდელი სეზონი წარმატებით დაიწყო და ეს კარგად ჩანს ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის შედეგებში, რაც შეეხება ესპანეთის სამეფო კლუბს, მართალია, ამ უკანასკნელმა, მილანელთა მსგავსად, ისე რიხიანად ვერ იასპარეზა, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ იტალიელებთან შეხვედრაში არაფერს დათმობს.

საინტერესო უნდა იყოს მატჩი „დეპორტივოსა" და „იუვენტუსს" შორის. ესპანელებმა წინა ეტაპზე დაუმტკიცეს ყველას, რომ „დეპორტივოს" ბევრი რამ შეუძლია.

***ხვალინდელი შეხვედრებიდან მნიშვნელოვანია „რომა" — „არსენალისა" და „ვალენსია" — „აიაქსის" შეხვედრები.*** ერთი სიტყვით, ფეხბურთის მოყვარულებს ორი დღის განმავლობაში ნამდვილი ზეიმი ელით.

დასასრულ, გაგაცნობთ დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრების განრიგს.

***26 ნოემბერი:*** მილანი — რეალი, ლოკომოტივი — ბორუსია, ბაზელი — მანჩესტერი, დეპორტივო — იუვენტუსი.

***27 ნოემბერი:*** ბაიერი — ბარსელონა, ნიუკასლი — ინტერი, რომა — არსენალი, ვალენსია — აიაქსი.

## მილოცვა

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს სახელგანთქმულ ვეტერან ხელბურთელს, საქართველოში სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ბრწყინვალე პიროვნებას იმედო ფხაკაძეს.**

## წოდების მინიჭება

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში სპორტის და განსაკუთრებით ხელბურთის განვითარების საქმეში შეტანილი, პირადი დიდი წვლილისათვის ვეტერან ხელბურთელს, იმედო ფხაკაძეს „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა.**

## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

### საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები გუშინწინ და გუშინ გაიმართა.

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში „სტუ-ჯეოსელმა" სსუ-ს სძლია 111:72; „აკადემია" — „დინამოს" მატჩში შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწიეს დინამოელებმა — 122:96; რუსთავში „აზოტმა" „მაკაბს" მოუგო — 106:87; ბათუმში „ბასკო" დამარცხდა თსუ-სთან — 73:84. გუშინ: „აზოტი" — „აკადემია" — 78:77; „დინამო" — „სტუ - ჯეოსელი" — 77:78; სსუ — „მაკაბი" — 107-74.

ბათუმში გუშინ „ბასკომ" 89:81 მოუგო „ქუთაისს".



| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 944:706 | 19 |
| სტუ-ჯეოს | 10 | 8 | 2 | 937:738 | 18 |
| ბასკო | 10 | 8 | 2 | 969:744 | 18 |
| აზოტი | 10 | 7 | 3 | 807:799 | 17 |
| თსუ | 9 | 5 | 4 | 774:736 | 14 |
| მაკაბი | 10 | 3 | 7 | 776:866 | 13 |
| ქუთაისი | 9 | 3 | 6 | 759:782 | 12 |
| სსუ | 10 | 2 | 8 | 775:985 | 12 |
| აკადემია | 10 | 0 | 10 | 792:1000 | 10 |

## ძალოსნობა მსოფლიო ჩემპიონატი

# გიორგი ასანიძემ „ვერცხლი" გმირობის ფასად მოიპოვა

ვარშავაში, სპორტულ არენა „ტორვარ ჰოლში" მიმდინარე მსოფლიო 72-ე ჩემპიონატზე ძალოსნობაში შაბათს, წინა დღეებისგან განსხვავებით, გულშემატკივართა სოლიდურმა რაოდენობამ მოიყარა თავი. ამ დღეს მამაკაცთა შორის 85 კგ წონით კატეგორიაში წყდებოდა ჩემპიონის ბედი. A ჯგუფში მონაწილე 11 სპორტსმენიდან თავიდანვე გამოიკვეთნენ ფავორიტები — გასული წლის ქართველ მსოფლიო ჩემპიონს გიორგი ასანიძეს რამდენიმე სერიოზული მეტოქე დაუპირისპირდა. მათ შორის ბელარუსი, ბულგარელი, ალბანელი და, რაც მთავარია, პოლონელი ძალოსანი, ვისაც მხურვალედ უჭერდა მხარს მაყურებელი.

თავიდანვე მეტოქეთა შესაძლებლობანი მეტნაკლებად უკვე ნათელი იყო, მაგრამ შტანგასთან პირველი მისვლა ასანიძისათვის მოულოდნელი მარცხით დასრულდა. თუმცა გიორგიმ სწრაფად შეძლო მობილიზება და საბოლოოდ მაინც საუკეთესო შედეგით — 177, 5 კგ-ით დაასრულა პირველ სახეობაში გამოსვლა, რამაც ატაცში გიორგი ასანიძეს მცირე ოქროს მედალი მოუტანა.

აკვრაშიც საკმაოდ მძიმე გამოდგა ასანიძისთვის პირველი ცდა. ზეაწეული 202, 5 კგ, სრულიად მოულოდნელად, სამიდან ორმა მსაჯმა არ დააფიქსირა. ჩვენმა ძალოსანმა აწევის დროს მარცხენა მხარის ტრავმაც მიიღო და, საერთოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა შეჯიბრების გაგრძელება. ამ კრიტიკულ მომენტში კ ი დ ე ერთხელ გამოვლინდა გიორგი ასანიძის ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა, მან თითქმის „ცალი ხელით" ჯერ 205, ხოლო შემდეგ 207,5 კგ დააფიქსირა. ორჭიდის ჯამში 385 ქულით ასანიძე ერთი მეტოქის გარდა, ყველასთვის მიუწვდომელი გახდა. ის ერთი კი ბულგარელი ზლატან ვანევი იყო, რომელმაც ატაცში 10 კგ წააგო ასანიძესთან. მაგრამ აკვრაში ფენომენალური შედეგი აჩვენა, რითაც ჯამური ქულებით გაუთანაბრდა კიდეც ქართველ ძალოსანს. შედარებით დაბალი საკუთარი წონის გამო (ასანიძე 84,90 კგ-ს იწონიდა, ვანევი — 83,45-ს) ჩემპიონის ტიტული მან მოიპოვა. გიორგი ასანიძე ვერცხლს დასჯერდა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რაც ჩვენმა ძალოსანმა გადაიტანა, შედეგი სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.



გიორგი ასანიძე

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 9 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 3 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## დაფუძნდა საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაცია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაცია. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი რომან რურუა.

## მილოცვა
### ქართული ხელბურთის დიდოსტატს

ჩემო იმედო!

გულწრფელად, დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარიღს. ქართული ხელბურთის ისტორიაში შენ და შენი თაობის ბიჭებმა ოქროს ხანა მოიყვანეთ და მიღწეული მაღალი წარმატებებით სამუდამოდ დაიმკვიდრეთ ადგილი ქართული სპორტის ისტორიაში. ყველა თაობის ხელბურთელები და ქართული ხელბურთის ქომაგები ამაყობენ და მუდამ იამაყებენ თქვენით და შენი თანაგუნდელებით, რადგან თქვენ იყავით ქართული ხელბურთის მესაძირკვლენი.

ჩემო იმედო, გისურვებ ჯანმრთელობით ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს ცხოვრებაში.

შენი ჯანსუღ ბაგრატიონი.

**ძიუდო** საქართველოს ჩემპიონატი

# ვინ დაისვენა, ვინ ოფლი ღვარა...



გუჯეჯიანი (მარცხნივ) ფინალურ პაექრობას უგებს ბერუაშვილს

დიდომში, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც ყოველწლიურად გვიან შემოდგომაზე იმართება, მას შემდეგ, რაც როგორც ძირითადი, ისე ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრები უკან მოიტოვებენ ხოლმე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს. ამდენად ეს შეჯიბრება, ფაქტობრივად, მომავალი წლის სპორტული სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი უფროა. ამასთან, ყველა ძიუდოისტს ეძლევა შანსი იანვრის ბოლოს გასამართ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მოხვდეს. ამ ტურნირზე მასპინძლებს ოთხი მონაწილის გამოყვანის უფლება აქვთ თითოეულ წონაში, სტუმრებს — ორის. ამჟამად ტურნირზე ადგილები დაბევებული მხოლოდ ეროვნული ნაკრების პირველ ნომრებს აქვთ, სწორედ ამიტომაც უმეტესობა, გაუთვალისწინებელი ტრავმის შიშით, თავს არიდებს საშემოდგომო პირველობას. ამ მიზეზით უნდა აიხსნას ნესტორ ხერგიანის, გიორგი რევაზიშვილის, დავით ქევხიშვილის, ივერი ჯიქურაულის თუ ალექსი დავითაშვილის ტატამის ნაცვლად გულშემატკივართა რიგებში გადანაცვლებაც. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა არაერთხელ ხმამაღლა განაცხადა, რომ პირველობის ფინალისტებს გზა ხსნილი აქვთ სპორტის სასახლის ტატამზე სასპარეზოდ.


გამარჯვებულები

***ახლა კი გაგაცნობთ საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 60 კგ:*** 1. ლაშა სარდანაშვილი (თბილისი), 2. შმაგი ხანიშვილი (დუშეთი), 3. ვახტანგ ხოსიტაშვილი (საგარეჯო) და რუსლან გედენიძე (ქუთაისი); ***66 კგ:*** 1. ზაზა კედელაშვილი (დედოფლისწყარო), 2. მინდია ხომიზური (თბილისი), 3. ზაზა ეწელაშვილი (ახმეტა) და ლევან მარკოზაშვილი (გორი); ***73 კგ:*** 1. დავით ნადარაია, 2. დავით მარგოშვილი, 3. დავით ბოდაველი და გიორგი ბაინდურაშვილი (ოთხივე — თბილისი); ***81 კგ:*** 1. გრიგოლ მამრიკიშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი შინჯიკაშვილი (მარტყოფი), 3. ლევან წიკლაური და რეზო ჩიკოიძე (ორივე — თბილისი); ***90 კგ:*** 1. ზურაბ ზვიადაური (ახმეტა), 2. მინდია ბოდაველი (თბილისი), 3. კახა მურაჩაშვილი (ქარელი) და გელა ბეჟვაია (ქუთაისი); ***100 კგ:*** 1. გიორგი გუგავა, 2. ლაშა ფეიქრიშვილი (ორივე — თბილისი), 3. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო) და გიორგი ყაზილაშვილი (ახმეტა); ***მძიმე:*** 1. ლევან გუჯეჯიანი (თბილისი), 2. დურმიშხან ბერუაშვილი (გორი), 3. ზვიად წიკლაური (თბილისი) და ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი).

ლაშა გოგია

# პანკრატიონში მსოფლიო ჩემპიონები ვართ

**იცოდე, მეგობარო!**

### ბერძნებმა ანტიკური ეპოქიდან პანკრატიონი გამოიხმეს და აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მის შეტანას ისახავენ მიზნად

**არის ვარაუდი, რომ ძველ ბერძნულ თამაშებში, ელადაში, კოლხი ათლეტებიც მონაწილეობდნენ. ამ ფაქტის დადგენა თუ ჯერ კიდევ მომავალი კვლევის საქმეა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იმაში, რაც ახლა განუზრახავთ ბერძნებს, ქართველთა მონაწილეობა არასდროს ამოიშლება ისტორიიდან.**

ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა პანკრატიონი, რომელიც ტარდებოდა ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ილეთების გამოყენებით (ძალიან ჩამოგავს იმას, რასაც დღეს უწოდებენ. „ბრძოლას წესების გარეშე", თუმცა პანკრატიონი დახვეწილია და მოქცეულია მკაცრი სპორტულ ჩარჩოში). ბერძნებს ჩაუფიქრიათ აღორძინონ შორეულ წინაპართა სპორტის ოლიმპიური სახეობა და უკვე გათანამედროვებული წარადგინონ აღორძინებულ თამაშებში. მაგრამ ეს რთული პროცესია. ოლიმპიურ პროგრამაში სპორტის ახალი სახეობა რომ შეიტანონ, იგი სულ მცირე 75 ქვეყანაში (ვაჟთა სპორტი) და 4 კონტინენტზე უნდა იყოს დანერგილი. ბერძნებმა ეს, ცხადია, იციან. რთული გზის გავლა კი, რაღა გასაკვირია, საკუთარი ქვეყნიდან უნდა დაიწყონ. დაიწყეს კიდეც. ბერძნებმა უკვე მეორედ ჩაატარეს მსოფლიოს ჩემპიონატი, წლეულს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება ჩვენმა ათლეტებმაც გადაწყვიტეს, და საქართველო უკვე მიემატა იმ ქვეყნების სათვალავს, რომელმაც ბოლოს, სულ მცირე 75 უნა გახდეს. საოცარი კი ის არის, რომ ქართველთა დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა — პანკრატიონში მსოფლიო მეორე ჩემპიონატის ჩემპიონები ქართველები არიან. დაწვრილებით ქვემოთ. ახლა კი ის ვთქვათ, რომ ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის წარდგენის მისია თავის თავზე აიღო საქართველოს შიდოკანის ფედერაციამ (პრეზიდენტი იოსებ კობერიძე). აქვე განვმარტავთ შიდოკანი თავადაა საბრძოლო სამჭიდი (კარატე, ჭიდაობა, კიკბოქსინგი) და ახლოს დგას პანკრატიონთან.


იოსებ კობერიძე


ლევან ლაგვილავა


გია ჩირაღიშვილი

ჩემპიონატი პირად-გუნდური იყო. პირად პირველობის, აბსოლიტურ წონაში, უძლიერესის სახელი მოიპოვა სოხუმელმა ლევან ლაგვილავამ. როგორც ძიუდოში, აქაც, სწორედ აბსოლუტურ წონაში გამარჯვება ითვლება ყველაზე პრესტიჟულად.

გუნდური პაექრობა ტარდება პრინციპით: გუნდი — გუნდზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაკრები წარდგენილი იყო არა ოთხი, არამედ სამი სპორტსმენით და სათადარიგოს ჩანაცვლება პრაქტიკულად გამორიცხული იყო, ქართველებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. ფინალში მათი მეტოქე იყო ავსტრალიის მართლაც უძლიერესი ნაკრები, მაგრამ როცა გია ჩირაღიშვილმა და იოსებ კობერიძემ მეტოქეებს სძლიეს, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ფაქტობრივად ალაღრის მომცემ მესამე შეხვედრაზე.

მაშ ასე: 1. საქართველო (კობერიძე, ლაგვილავა, ჩირაღიშვილი), 2. ავსტრალია, 3. ირანი. ჩემპიონატის კიდევ ერთი სენსაცია, ალბათ, იყო ის, რომ თვით მასპინძლები, — ბერძნები ვერ მოხვდნენ საპრიზო ადგილზე.

„ჩვენი ფედერაცია, პანკრაციონი მაქვს მხედველობაში, დიდი ხანი არაა, რაც ჩამოყალიბდა და მე ჩავუდექი სათავეში. ნიჭიერი ბიჭები გვყავს, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი 27 წლისაა. მიაქციეთ ყურადღება ასაკს. სპორტის ამ სახეობაში დაოსტატება იმ ასაკის შემდეგაც შეიძლება, როცა სპორტის სხვა სახეობაში უკვე ვეტერანები ხდებიან" — თქვა იოსებ კობერიძემ „ლელოში" სტუმრობისას.

დავძენთ, რომ ჩვენი ბიჭების, განსაკუთრებით ი. კობერიძის დაოსტატებაში დიდი წვლილი შეაქვს მწვრთნელ ზურაბ ჭელიძეს, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში მუშაობს.

თ. თომაშვილი


ამ სამეულის გუნდი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მარცხნიდან: იოსებ კობერიძე, ლევან ლაგვილავა, გია ჩირაღიშვილი; ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა ქართული სამეული.

# ჯერ მესამედ, შემდეგ — ტრადიციული

აფხაზეთის განათლების სამინისტროს და საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვეს" თაოსნობით „მართვეში" სპორტკომპლექსმა საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებული მეომრის, გორგასლის ორდენის კავალერის, სპორტის ოსტატის ზურაბ შენგელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში 1988-1989-1990 წწ. დაბადებულ კადეტთა შორის.

თბილისელთა გარდა ხალიჩაზე გამოვიდნენ სამტრედიის, ქუთაისის, ხაშურის, საგარეჯოს, ხონის, ონის, რუსთავის, აფხაზეთის გუნდის 200-მდე კადეტი. გამარჯვებულებისთვის დაწესებული იყო ფულადი პრემიაც. ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი გადაეცა ხონელ ოთარ გოგავას (26 კგ).

ზურაბ შენგელიას სახელობის გარდამავალი თასი აფხაზეთის რაიონებს შორის გათამაშდა და იგი ზურაბ შენგელიას ვაჟმა გურამმა გადასცა სოხუმის განათლების განყოფილების გუნდს (გამგე დაგმრა ნინიძე). გამარჯვებულებსა და პრიზიორებს წარმატება მიულოცა აფხაზეთის განათლების მინისტრმა ჯ. ჯანელიძემ.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 26 კგ:*** 1. ოთარ გოგავა (ხონი), 2. კახა აბულაძე („მართვე"), 3. გიორგი დაბრუნდაშვილი („იმედი"), ***29 კგ:*** 1. ალექსი ჯაჭვაძე (სოფ. გამარჯვ), 2. შალვა ქარსაულიძე (საგარ), 3. გიორგი დარახველიძე („მართვე"), ***32 კგ:*** 1. ხვიჩა გელაშვილი, 2. თენგო ბედოშვილი (ორივე — თედ. კლ.), 3. ნიკა ცანავა (ხონი). ***35 კგ:*** 1. გიორგი აბულაძე (თედ. კლ), 2. გოგი ხუჭუა (სამტ), 3. თენგიზ ოდიშელიძე (თედ. კლ). ***38 კგ:*** 1. გიორგი გოგალაძე (ქუთ), 2. გიორგი წამალაიძე („მართვე"), 3. მიხაელ გოგელია (ლოკო). ***42 კგ:*** 1. გიგა მწითური (თედ. კლ), 2. მირიან გვიჭიანი (ხონი), 3. გიორგი ედიშერაშვილი (ლოკო). ***46 კგ:*** 1. ბექა ბუქური (თედ. კლ), 2. ლაშა წიქვაძე (ორს), 3. ირაკლი გიგილაშვილი („მართვე"). ***50 კგ:*** 1. ზაზა ჯიქიძე („მართვე"), 2. გიგა მზარაშვილი („იმედი"), 3. მირზა ინასარიძე (გამარჯ). ***54 კგ:*** 1. ზაზა ჩორგოლაშვილი (ორს), 2. ზაქრო ალიმბარაშვილი (თედ. კლ), 3. ლევან მებონია (ორს). ***59 კგ:*** 1. ონისე დადუნაშვილი (თედ. კლ), 2. გოჩა ლომთათიძე (ორს), 3. გიგა მწითური (თედ. კლ). ***66 კგ:*** 1. გიგა სამხარაძე (თედ. კლ), 2. გიორგი მამიაშვილი (ხონი), 3. ნიკა ჭველაძე („მართვე"). ***73 კგ:*** 1. გიორგი ჩიქოვანი, 2. გიორგი კიკაბიძე (ორივე — თედ. კლ), 3. გიორგი ფირცხალავა („მართვე"). ***85 კგ:*** დავით ქერაშვილი („მართვე"); 2. ლევან ქობულაშვილი (თედ. კლ), 3. დავით მოძმანაშვილი (ლოკო).

ტურნირი ამჟამად მესამედ ჩატარდა. ვარაუდობენ, რომ მომავალში იგი საერთაშორისო სტატუსს შეიძენს.

თამუნა ჯანვერდაშვილი

# გზის გაგნება ყოველთვის შეიძლება...

## თბილისის 142-ე სკოლის დევიზია: ნუ იმართლებთ თავს მიზეზებით, ეძიეთ გამოსავალი

სკოლებში ფიზიკური აღზრდა ხელმიშვებულია და ამის მიზეზი უამრავია, ზოგან არ არის მატერიალურ-სპორტული ბაზა, ზოგან მწყობრიდანაა გამოსული. რა უნდა ვიღონოთ ასეთ დროს? ბევრი დანებდა სიტუაციას და შემოქმედების გამართლების არგუმენტებად იშველიებს ზემოხსენებულ მიზეზებს, საქმის პატრიოტები კი არა მიზეზებს, არამედ გამოსავალს ეძებენ. ერთი მათგანია თბილისის 122-ე საშუალო სკოლა და მისი ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი გოდერძი შურღაია.



„ყველასათვის გასაგებია, რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, მაგრამ მივმართავ კოლეგებს — ფიზაღზრდის მასწავლებლებს: ჩვენ ხომ მუდმივ წინააღმდეგობებში, თუნდაც სიცივეში გამობრძმედილი ხალხი ვართ. გული არ გაიტეხოთ, მოდით, დღეს ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეიძლება იმ პირობებში, რაც გვაქვს. გვახსოვდეს, ჩვენ მომავალი თაობის აღზრდას ვემსახურებით" — ამბობს გოდერძი შურღაია.

ამ სიტყვების მთქმელს და მომწვია. აქ იყვნენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ მათი მშობლები, მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები. ლაშქრობის ორგანიზებაში კი ფიზაღზრდის უფროს მასწავლებელს გ. შურღაიას მხარში ედგნენ კოლეგები თალიკო კარანაძე და პეპელა ქართველიშვილი, კლასების ხელმძღვანელები: მ. გერმანოზაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ქ. ჩიტაშვილი, რ. კვერნაძე, ნ. აბაკუმოვა, სკოლის დირექტორი სოსო ლაგვილავა, მისი მოადგილეები — ნათელა სიხარულიძე და ლელა ზუმბულიძე.





გამოვლინდა ხუთი საუკეთესო კლასი. სხვადასხვა დისტანციებზე გამართულ რბენებში კი თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა: დათო ახალაძემ და თათია გურგენიძემ (V კლ), დათო რუხაძემ და თინა ხარაზიშვილმა (VI), ნიკა ძებისაშვილმა და თეა წიკლაურმა (VII), გიორგი კავკასიძემ და ეკა ნოზაძემ (VIII), მილენ ოთხოზორიამ და ნატო ბუაშვილმა (IX), X-XI კლასელთაგან უძლიერესი იყო დათო მარკოზაშვილი. ფეხბურთში მეათეკლასელებმა აჯობეს მეცხრეკლასელებს 6-3, მერვეკლასელებმა — მეშვიდეკლასელებს 4-2. ჩატარდა ლატარია, არც კულტურული პროგრამა გამორჩენიათ მხედველობიდან...

142-ე საშუალო სკოლას წლეულს დაგეგმილი ჰქონდა თბილისის რაიონების უძლიერესი სკოლების მონაწილეობით სპორტული კვირეულის ჩატარება სპორტის ხუთ სახეობაში. ეს ღონისძიება ეძღვნებოდა სასკოლო ოლიმპიური კლუბის დაფუძნებას და სკოლის 30 წლისთავს, მაგრამ მიწისძვრამ დააზიანა სპორტული დარბაზი. კვირეული არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, უბრალოდ, გადაიდო... დარბაზის შეკეთებამდე!

წოდებელს, ცხადია, კონკრეტული გამოცდილებაც აქვს. ძირითადი მაინც ტურისტული ლაშქრობებია. V-XI კლასების სულ მცირე 600-მდე მოსწავლე გადის ბუნების წიაღში, სადაც ფიზიკურადაც იწრთობიან და სულიერედაც. ასეთ ღონისძიებას ზედმეტი პროპაგანდა არ სჭირდება, ბავშვები მუდამ იმის მოლოდინში არიან კიდევ როდის უხმობენ სალაშქროდ. ახლახან 142-ე სკოლის „დიდი ლაშქარი" თბილისის ზღვის მიდამოებს

ირაკლი სარალიძე

## ახალი თაობის ფეხბურთელები

# სერგი ორბელაძეს თავგანწირვა შეუძლია

სერგი ორბელაძე — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის" მცველი. დაიბადა 1982 წლის პირველ მაისს, ზესტაფონში. ფეხბურთს 12 წლის ასაკიდან თამაშობს. არის საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი. უცოლოა. ჰყავს მშობლები, და.



• *იცით რით დავიწყოთ ინტერვიუ? მითხარი საიდან მოდის შენი გვარი. მართლა მაინტერესებს: გამიგია ორბელი, ორბლიანი, ორბელიძე, ორბელაშვილი...*

— წინაპრებიდან გამიგია, რომ ჩვენი გვარი ორბელიანებიდან მომდინარეობს. ამბობენ იმასაც, რომ შორეული წინაპარი ყაფლანიშვილი იყო, რომელიც თავის მხრივ ბარათაშვილის განაყარია.

• *ბარემ ისიც მითხარი, რატომ მაინცდამაინც სერგო დაგარქვეს?*

— ბაბუაჩემის სახელია.

• *გოგონების სახელებიდან რომელი მოგწონს?*

— ანი.

• *რატომ?*

— ადვილი სათქმელია, თანაც კარგი სახელიცაა, ალბათ დამეთანხმები...

• *დიახ! აი, ხომ ხედავ ჯერ ფეხბურთზე არაფერს გეუბნები, ბარემ შენი ზოდიაქოც მითხარი...*

— ზოდიაქოთი ალერსიანი, მშვიდი და მომთმენი, მოსიყვარულე ხასიათის ვარ. კურო სპორტსმენი, სხვათა შორის იშვიათია.

• *მართლა ასეთი ხარ?*

— სხვათა შორის, კი.

• *რომელი სპორტის სახეობა გიზიდავდა ფეხბურთამდე თუ პირდაპირ ფეხბურთით დაიწყე?*

— სანამ ფეხბურთელი გავხდებოდი და, საერთოდ, სანამ სპორტზე დავიწყებდი ფიქრს, ნადირობა მიზიდავდა. ხშირად დავდიოდი სანადიროდ მეგობრებთან ერთად. ეს ჩემი მეორე ჰობია დღემდე.

• *პირველი ჰობი რომელია?*

— ფეხბურთი.

• *როგორ აღმოჩნდი ფეხბურთში?*

— სკოლის პერიოდში, ბავშვები უბანში ვთამაშობდით ხოლმე, ხშირად სკოლიდან გაპარვაც მიწევდა. თითქმის ერთი თვე ოჯახში არავინ იცოდა თუ სად დავდიოდი. ბოლოს, როცა შეიტყვეს, ყველა მხოლოდ იმან შეაშფოთა, რომ სწავლას შევეშვი და მთლიანად ფეხბურთის სამყაროში გადავეშვი.

• *ახლა თუ სწავლობ სადმე?*

— ჯერჯერობით არა. დრო კიდევ მაქვს, სწავლას მოვასწრებ. ამით რამე დაშავდება?

• *ნამდვილად არ დაშავდება. ახლა კი მაინტერესებს, თუ მართლა ასეთი „გაგიჟებით" გიყვარს ფეხბურთი ალბათ სიზმარშიც ითამაშებდი. როგორ გამოგიხატავს მოგება ან წაგება?*

— სხვათა შორის, სიზმარში მართლა ბევრჯერ მითამაშია. მოგებით მეტჯერ მომიგია, ვიდრე წამიგია. სიხარული როგორ გამოვხატე, ნამდვილად არ მახსოვს. ერთხელ, მაგალითად, მესიზმრა, ვითომ კოპენჰაგენს 2-0 მოვუგეთ. სამწუხაროდ, ცხადში, პირიქით მოხდა.

• *თითქმის ყველა ფეხბურთელი მოედანზე შეცდომებს უშვებს, და შემდეგ სხვას აბრალებს. შენ თუ დაგიდანაშაულებია სხვა შენს შეცდომაში?*

— შეცდომა ვის არ მოსვლია, რაც შემეხება მე, ცხოვრებაში არავის არაფერს ვაბრალებ, სიზმარშიც კი, ცხადში რაღა გადამრევს?

• *კარგი შევეშვათ მისტიკას, როდის მიხვდი, რომ ფეხბურთმა სერიოზულად გაგიტაცა?*

— 16-17 წლის ასაკში, სწორედ იმ დროს გადავწყვიტე ფეხბურთელობა. მაშინ ზესტაფონის „მარგვეთში" ვთამაშობდი.

• *საუბარში „ტიხარი" უნდა შემოვიტანოთ, ღმერთმა ყველა დაიფაროს და წყალწაღებულისთვის თუ გადაეშვები მდინარეში. ახლა არ მითხრა, ცურვა არ ვიციო...*

— ცურვა როგორ არ ვიცი, კიდეც რომ არ ვიცოდე, სხვისი სიცოცხლისთვის თავს ნამდვილად გავწირავ. აუცილებლად დავეხმარები...

(იხ. მე-4 გვ.)

## ბავშვთა კალათბურთი

# გარდაბანს გუნდები ჰყავს



თელეთი — I ადგილი

გარდაბანში კალათბურთელთა ასპარეზობა მიუძღვნეს რაიონის ნაკრების ტრაგიკულად დაღუპული წევრის რამაზ ბადრიშვილის ხსოვნას. მონაწილეობდა 24 სკოლის გუნდი. ფინალურ ეტაპზე გავიდა ბიჭების და გოგონების ექვს-ექვსი გუნდი. ბიჭებში პირველი ადგილი დაიკავა გამარჯვების საშუალო სკოლის ნაკრებმა (მასწ. თამაზ ბარბაქაძე), მეორე ადგილზე გავიდა ვარკეთილის გუნდი (მასწ. ვახტანგ მჭედლიშვილი), მესამეზე — გარდაბნის გუნდი (მასწ. ა. ბალალაშვილი). გოგონებში პირველობა არავის დაუთმო თელეთის სკოლამ (მასწ. გ. სარუხანოვი), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს გამარჯვების (მასწ. თ. ბარბაქაძე) და გარდაბნის (მასწ. ა. ბალალაშვილი) გუნდებმა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და დიპლომები. ტურნირი მომავალში ყოველი წლის აპრილში ჩატარდება — უკვე საქართველოს მასშტაბით.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა





გამარჯვება — II ადგილი



გამარჯვების საშ. სკოლა — I ადგილი



ვარკეთილი — II ადგილი



# შავად შემოსილი მატჩები

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## XVIII ტურის მიმოხილვა

XVIII ტურის ყველა მატჩი კახი ასათიანის ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყო. ფეხბურთელები კი მინდორზე შავი სამკლაურებით გავიდნენ. მატჩებიც საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. ერთის გამოკლებით, ქუთაისში, ჩემპიონმა ჩვენებურ „მილანს" ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა და უპრობლემოდ მოუგო. მოწინავე ოთხეულიდან ყველამ გაიმარჯვა, თუმცა თბილისურ „დინამოს" და „ლოკომოტივს" სამი ქულის მოპოვება გვარიან ოფლის ღვრაში მოუწიათ. „დინამო" სულაც ორი ბურთით ჩამორჩა აუტსაიდერ „გორდას", მაგრამ ძალები მოიკრიბა და ბოლოს მოიგო. იოლი გასეირნება არც რკინიგზელებს ჰქონდათ ბოლნისში და მხოლოდ ერთი გოლით დაძლიეს მასპინძელთა წინააღმდეგობა. სატურნირო მდგომარეობას თანდათან იუმჯობესებს ერთხანს უიმედოდ ჩამორჩენილი ბათუმის „დინამო". ზღვისპირელებმა შინ პრინციპული პაექრობა მოუგეს უშუალო კონკურენტებს ზესტაფონელ მეტალურგებს.

*მერანი-კოლხეთი 1913 — 0-0, ვიტ ჯორჯია-დილა — 2-0, დინამო (ბთ)-მეტალურგი — 1-0, ტორპედო-მილანი — 5-0, გორდა-დინამო (თბ) — 2-3, სიონი-ლოკომოტივი — 0-1.*

## XIX ტურის ანონსი

### დიდი მატჩი თბილისში



ხვალ დედაქალაქში სუპერმატჩია. „დინამო" „ტორპედოს" უმასპინძლებს ეროვნულზე. ორი საუკეთესო ქართული გუნდის, ორი ჩემპიონის მუდმივი პაექრობა მართლაც მოვლენაა ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში. ზედმეტია შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. გუნდების დღევანდელი მდგომარეობა როგორც სათამაშო, ისე სატურნირო, იმის იმედს იძლევა, რომ სტადიონზე მოსული გულშემატკივარი საუკეთესო მატჩს იხილავს საუკეთესო ქართველი ფეხბურთელებისა და უცხოელი ლეგიონერების შესრულებით.

მოკლედ, სუპერი ქართული შესრულებით ნამდვილად სანახავია, მაშ, ვუქომაგოთ საყვარელ გუნდებს, ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

*27 ნოემბერი: სიონი-ვიტ ჯორჯია, ლოკომოტივი-გორდა, დინამო (თბ)-ტორპედო, მილანი-მერანი, კოლხეთი 1913-დინამო (ბთ), მეტალურგი-დილა*

## უმაღლესი ლიგა. XVIII ტურის სტატისტიკა

22 ნოემბერი. თბილისი, სტადიონი „სინათლე". 500 მაყურებელი
**მერანი – კოლხეთი 1913 0-0**
*მერანი:* ნაჭყეპია, გუჯაბიძე, დევიძე, მესხი, გ. ილურიძე, ბაჯელიძე (ბ. ნოზაძე 69), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (თუთარაშვილი 58), ი. შენგელია, ჰინჭარაული, ჩიღვინიძე.
*კოლხეთი:* მ. გვასალია, ქუტიძე, ქობულაძე, სვანაძე, გოროზია, გაბიდაური, ფანჩულიძე, ე. გვასალია, წიტაიშვილი (კრასოვსკი 89), გაგუა (ნარსია 38), გონჩაროვი.
*გააფრთხილეს:* თუთარაშვილი, გ. ილურიძე.
*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი)

23 ნოემბერი. ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო". 1500 მაყურებელი
**ტორპედო – მილანი 5-0**
*ტორპედო:* სტურუა, ხვადაგიანი, ლ. ჰელიძე, ქემოკლიძე, შ. ბაბუნაშვილი (გამეზარდაშვილი 53), დიდავა, კვეტენაძე (ახალკაცი 46), ასათიანი, იონანიძე, პოროშინი (ლაღაძე 65), ჩომახიძე.
*მილანი:* ალანაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე (ღუღუნაძე 39) მეტონიძე, ჭაღიაშვილი, ვართაგავა (ეცადეიშვილი 65), ეგაძე, ქარჩავა, შელეგია (ლამბაშიძე 46).
*გოლები:* 1-0 დიდავა (8), 2-0 იონანიძე (20 პ), 3-0 პოროშინი (35), 4-0 იონანიძე (55), 5-0 გამეზარდაშვილი (88).
*გააფრთხილეს:* ვართაგავა.
*გააძევეს:* რ. კაკულია (მილანის მწვრთნელი)
*მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი)

ბოლნისი. 23 ნოემბერი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 800 მაყურებელი
**სიონი – ლოკომოტივი 0-1**
*სიონი:* ვოლკოვი, სიდამონიძე, გოგიტაძე (კაციაშვილი 85), ცქიფურიშვილი (კრავეიშვილი 77), ბაქრაძე, დაუშვილი (გ. ქორიძე 73), ისიანი, კვეკვესკირი, გაბისკირია, შავგულიძე, დ. გოდერძიშვილი.
*ლოკომოტივი:* ლომაია, ორბელაძე, სალუქვაძე, ბურნაძე, სირაძე, გ. კვარაცხელია, გალიარდო, გილაური (რ. ონიანი 75), გ. ონიანი, გონსალესი (სოსელია 46), კაიდარაშვილი (გოგინაშვილი 75)
*გოლი:* 0-1, სირაძე (67)
*გააფრთხილეს:* დაუშვილი, ისიანი, გ. კვარაცხელია, გოგინაშვილი.
*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

რუსთავი. 23 ნოემბერი. სტადიონი. „ფოლადი". 1000 მაყურებელი.
**გორდა – დინამო (თბ) 2-3**
*გორდა:* ბედიაშვილი, არსოშვილი, ბურნაძე, ბერიძე, ზაზაშვილი (შიოშვილი 85), ზ. ლაბაძე, ჩოხელი (სოხაძე 74), გოცირიძე, კ. ალადაშვილი, თავბერიძე, ჯელაძე.
*დინამო:* ზოიძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, კვირკველია, ვაშაკიძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (გ. მიქაძე 86), ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ალექსიძე.
*გოლები:* 1-0 ჯელაძე (4), 2-0 ჩოხელი (15), 2-1 ამისულაშვილი (18), 2-2 დარასელია (65), 2-3 ანჩაბაძე (69)
*გააფრთხილეს:* თავბერიძე, სოხაძე, კვირკველია
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი)

თბილისი. 23 ნოემბერი. სტადიონი „შევარდენი". 500 მაყურებელი
**ვიტ ჯორჯია – დილა 2-0**
*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, მუჯირი, ინწკირველი, გველესიანი, ვ. გოჩაშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ქოქიაშვილი (დ. დოლიძე 59), გ. ყიფიანი (ბოლქვაძე 67), ადამია (ე. მერებაშვილი 77), მელქაძე.
*დილა:* თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, დავითნიძე, ფეზუაშვილი, ხმალაძე (საყვარელიძე 65), სომხიშვილი, ჯობაძე, ბ. ჩიტაია (ოლგესაშვილი 57), ძოძუაშვილი (ხორგუაშვილი 46), რაზმაძე.
*გოლები:* 1-0, 2-0 მელქაძე (35 პ, 40)
*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი)

ბათუმი. 23 ნოემბერი. ცენტრალური სტადიონი. 500 მაყურებელი
**დინამო (ბთ) – მეტალურგი – 1-0**
*დინამო:* ტოგონიძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, მინდაძე, კობიძე (ბექანიძე 74), ტუღუში, დარჩიძე, გ. მოდებაძე (რომანაძე 85), თურმანიძე, ყულეჯიშვილი (ქაცარავა 74), მახარაძე.
*მეტალურგი:* ა. ლაბაძე, გურეშიძე, კობაიძე, მაღლაკელიძე, გაბრიჭიძე (ნიშნიანიძე 85), ღონღაძე, ენდელაძე (ორმოცაძე 75), ფოფხაძე, სუხიაშვილი, სულაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (შველიძე 89).
*გოლი:* 1-0 დარჩიძე (3)
*გააფრთხილეს:* ხაჭაპურიძე, ღონღაძე.
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### ბომბარდირები

იონანიძე (ტორპედო) — 13
მელქაძე (ვიტ ჯორჯია) — 12
დარასელია (დინამო თბ) — 10

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 18 | 15 | 1 | 2 | 43-7 | 46 |
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 42-11 | 44 |
| ლოკომ. | 18 | 13 | 1 | 4 | 30-9 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 13 | 1 | 4 | 31-11 | 40 |
| სიონი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-23 | 26 |
| კოლხ. 1913 | 18 | 7 | 3 | 8 | 19-27 | 24 |
| მერანი | 18 | 5 | 4 | 9 | 19-30 | 19 |
| დინამო (თბ) | 18 | 4 | 5 | 9 | 13-23 | 17 |
| მეტალურგი | 18 | 5 | 1 | 12 | 10-36 | 16 |
| გორდა | 18 | 4 | 0 | 14 | 17-34 | 12 |
| დილა | 18 | 3 | 3 | 12 | 9-26 | 12 |
| მილანი | 18 | 3 | 3 | 12 | 9-34 | 12 |

## რეგიონული ლიგა

**დასავლეთი, XIV ტური**
ლუკა — სალხინო 4-2

**ცენტრალური, XIII ტური**
დილა 2 — მესხეთი 2-4
აფა — თორი (26.XI)
ლიახვი — ოლიმპი 1-0
პრემა — ვარძია 4-0
მცხეთა 2 — ვიტ ჯორჯია 2 0-4
ვაკე — ცხუმი 0-0
ცხინვალი 2 — ყაზბეგი (26.XI)

## პირველი ლიგა

გურია-ლაზიკა 1-5
ლოკო-ალაზანი 4-0
თსუ-ქობულეთი 1-0
ჭაბ.ნაკრ-მერცხალი 2-0
ცხინვალი-დინამო 2 0-0
ლოკომ (სამტრ)-მცხეთა 0-2
სამგურალი-ლოკომოტ.2 0-1
ივერია-კოლხეთი (ხ) 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 14 | 9 | 4 | 1 | 35-16 | 31 |
| მერცხალი | 14 | 8 | 4 | 2 | 20-8 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 5 | 2 | 22-11 | 26 |
| ივერია | 14 | 7 | 3 | 4 | 19-15 | 24 |
| დინ.2 (თბ) | 14 | 6 | 3 | 5 | 16-13 | 21 |
| ჭაბ. ნაკრ. | 14 | 6 | 3 | 5 | 21-14 | 21 |
| ლოკომ 2 | 14 | 5 | 6 | 3 | 13-9 | 21 |
| მცხეთა | 14 | 5 | 5 | 4 | 19-13 | 20 |
| სამგურალი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-13 | 20 |
| თსუ | 14 | 5 | 4 | 5 | 10-11 | 19 |
| ლოკო | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| ქობულეთი | 14 | 5 | 1 | 8 | 8-16 | 16 |
| გურია | 14 | 4 | 3 | 7 | 12-21 | 15 |
| კოლხ. (ხ) | 14 | 3 | 3 | 8 | 9-19 | 12 |
| ლოკ.(სამტრ) | 14 | 3 | 2 | 9 | 10-21 | 11 |
| ალაზ-მერ | 14 | 0 | 4 | 10 | 9-38 | 4 |

# სერგი ორბელაძეს თავგანწირვა შეუძლია

(მესამე გვერდიდან)

● ***ფეხბურთს სიტკბოსთან ერთად სიმწარეც ახლავს, ალალად მითხარი, თუ გიტირია ოდესმე მატჩის შემდეგ?***

— არა, არასოდეს.

● ***ამ დღეებში „დინამოსთან" მატჩის შემდეგ გასახდელიდან გამოსულებს, ყველას „მჟავე" სახეები გქონდათ. რა მოხდა, გასახდელში რა ითქვა?***

— ვფიქრობ, რომ იღბალი „დინამოს" მხარეს იყო. საუბარს რაც შეეხება, მწვრთნელმა ჩვეულებრივ მოგვცა შენიშვნები. როგორც მახსოვს გასახდელიდან პირადად მე „დამქავებული" სახით არ გამოვსულვარ, რაც შეეხება სხვებს, ნამდვილად არ ვიცი. ყველა სხვადასხვანაირად განიცდის მოგებაა თუ წაგება.

● ***რა ადგილი უკავია ფეხბურთს შენს ცხოვრებაში?***

— ალბათ პირველი, რადგან ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია.

● ***როგორ ფიქრობ, საქართველოს რომელიმე გუნდი მიიღებს თუ არა მონაწილეობას ჩემპიონთა ლიგაში?***

— ისეთი მატჩი, როგორიც ამ დღეებში გაიმართა თბილისურ „დინამოსა" ლა „ლოკომოტივს" შორის, საქართველოში კარგა ხანია არ ჩატარებულა. ვფიქრობ, ასე თუ გაგრძელდა, ახლო მომავალში საქართველოს რომელიმე გუნდი აუცილებლად გავა ევროპის სარბიელზე. მაგალითად, „დინამომ" და „ვიტ ჯორჯიამ" კარგი გამოცდილება შეიძინეს ივო შუშაკისა და ჯანი კარნევალის მოსვლის შემდეგ. ვფიქრობ, „ლოკომოტივიც" არანაკლებ ამოძრავდება, ჯერჯერობით მაინც.

● ***ივო შუშაკი და ჯანი კარნევალე ახსენეთ, თქვენი აზრით, როგორი მწვრთნელია ლუის ცაკარიასი?***

— გამოცდილი, თავისი საქმე მაღალ დონეზე იცის, ჩვენ ყველანი მისი მადლობელი ვართ.

● ***როგორია ეს მწვრთნელი ფეხბურთსა და მინდორს მიღმა?***

— ძალიან კარგი. ვარჯიშებისა და თამაშის დროს რჩევას გვაძლევს. ფეხბურთს მიღმა ძალიან მეგობრულია და ამავე დროს დიდი იუმორითაა დაჯილდოებული. კაცი მასთან ნამდვილად ვერ მოიწყენს. პირადად მე დიდ პატივს ვცემ ამ პიროვნებას.

● ***საუბარი იუმორზე ჩამოვარდა. თავად თუ ხარ ხუმარა?***

— ეგ შეკითხვა ჩემს მეგობრებს უნდა დაუსვა და გაიგებ ვარ თუ არა ხუმარა, ან საერთოდ, მაქვს თუ არა იუმორის გრძნობა...

● ***თავად შენ როგორ ფიქრობ, ხარ?***

— ალბათ კი არა, არ ვიცი...

● ***თითქმის ყველა სპორტსმენის მეორე გატაცება მანქანაა. შენ თუ გყავს ავტომობილი, როგორი სიჩქარით გიყვარს სიარული?***

— ჯერჯერობით არ მყავს, მომავალში ვნახოთ ისე, თუ საჭესთან ვზივარ, ნელა დავდივარ.

● ***პრობლემები თუ შეგქმნია ავტოინსპექტორებთან?***

— ნამდვილად არა. ერთხელ კი გაგვაჩერეს მე და ჩემი მეგობრები, როცა გაიგეს, რომ ლოკომოტიველები ვიყავით, დაგვმოძღვრეს და გამოგვიშვეს.

● ***თავისუფალ დროს როგორ ერთობი? რესტორნებში დადიხართ თუ...***

— „ღამის კლუბების" სტუმარი არასოდეს ვყოფილვარ. რესტორნებს კი მართლაც ხშირად ვაკითხავ.

● ***თუ ხარ აზარტული?***

— ძალიან. ადრე კაზინოებსაც კი ვსტუმრობდი. სოლიდური თანხა არ წამიგია, მაგრამ როგორც იტყვიან, არაუშავს ფული, მაინც წავაგე. ამ ბოლო დროს კი დავსერიოზულდი და საბილიარდოში დავდივარ ხოლმე.

● ***რომელი სამზარეულო გიზიდავს?***

— იმერელი კაცი ვარ და, რა თქმა უნდა, იმერული კერძები მომწონს.

● ***თავად თუ გეხერხება სამზარეულოში საქმიანობა?***

— როცა მარტო ვრჩები, სხვა გამოსავალი არ მაქვს და რაღაცას ვახერხებ. სხვათა შორის, ცუდად არ გამომდის.

● ***ალკოჰოლურ სასმელებს თუ ეტანები? ხომ იცი, რომ არ შეიძლება?***

— გმადლობთ, შეხსენებისთვის, ვიცი, რა თქმა უნდა. თუ აუცილებელია, ვსვამ, რაც ძალიან იშვიათად ხდება. წესებს კი, ნამდვილად არ ვარღვევ.

● ***რა წესებზე საუბრობ?***

— მაგალითად, ხვალ რომ თამაში მქონდეს, არც წინა დღეს, არც იმაზე წინ, არ დავლევ. აი, ამ წესებზე გეუბნები.

● ***მეგობარი გოგონა თუ გყავს?***

— შეყვარებული არა! არც მინდა რომ მყავდეს. ყურადღება ესაჭიროება, დიდი დრო უნდა დაუთმო. ზედმეტი დრო კი ფეხბურთელს სად აქვს. ალბათ ამიტომაც ვიკავებ თავს.

● ***მხოლოდ ამიტომ?***

— გარკვეულწილად კი. სიმართლე რომ გითხრა, ნამდვილად არ მინდა მყავდეს შეყვარებული.

● ***შენ ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელი ხარ. რას უსურვებ ქართულ ფეხბურთს.***

— პროგრესს, ბევრი რამ არის შესაცვლელი.

● ***მაგალითად?***

— მსაჯები. ზოგჯერ ისინი ბევრს სცოდავენ...

● ***მაგრამ, თუ ის მსაჯები უარესით შეიცვალა, მაშინ?***

— მაშინ საშველი აღარ ყოფილა და, ეგ არის...

● ***თქვენს შემდგომ თაობას რას უსურვებ?***

— დიდ წარმატებებს. შეიძლება ჩემი დარიგება არ სჭირდებათ, მაგრამ გამოცდილება მეც მაქვს და უნდა ვუთხრა: ბევრი შრომაა საჭირო, რათა ცნობილი და პროფესიონალი ფეხბურთელი გახდე.

ესაუბრა
ლელა ჭანკოტაძე

გასული საუკუნის ფეხბურთის ლეგენდები

# ლეგენდარული „სან-სირო“

**აპენინის ნახევარკუნძულზე საკმაოდ ბევრი დიდი საფეხბურთო არენაა, რომელთა შორის პოპულარობითა და მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა მილანის ჯუზეპე მეაცას სახელობის ლეგენდარული „სან-სირო“. ამ სტადიონს იტალიაში „ლა სკალასაც“ ეძახიან.**



მეაცას სახელს „სან სირო“ 1980 წლიდან ატარებს. ისმის კითხვა — რატომ? ჯუზეპე მეაცა დაიბადა 1910 წლის 23 აგვისტოს და გარდაიცვალა 1979 წლის ... 23 აგვისტოს. ის იყო კლუბ „ამბროზიანა - ინტერის“ (ასე ეძახდნენ ამჟამინდელ მილანის „ინტერს“ მუსოლინის ეპოქაში), „მილანის“, „იუვენტუსის“, „ვარეზესა“ და „ატალანტას“ ფორვარდი. საფეხბურთო კარიერა 37 წლის ასაკში დაასრულა იქ, სადაც დაიწყო — „ინტერში“.

ჯუზეპე მეაცამ 510 მატჩი ჩაატარა იტალიის უმაღლეს საფეხბურთო ეშელონში და 264 გოლი გაიტანა. შედეგიანობით მხოლოდ იტალიელ პიოლესა და შვედ ნორდალს ჩამორჩება. „ინტერის“ შემადგენლობაში ორჯერ მოიგო (1930 და 1938 წლებში) იტალიის ჩემპიონატი, 1939 წელს — ქვეყნის თასი. სამჯერ (1930, 1936, 1938 წწ) იყო სერია „ა“-ს საუკეთესო ბომბარდირი.

ჯუზეპეს დებიუტი იტალიის ეროვნულ ნაკრებში 1930 წლის 9 თებერვალს შედგა, სულ 53-ჯერ დაიცვა „სკუადრა აძურას“ ღირსება და 33 გოლი გაიტანა (ეს რეკორდი 35 წლის განმავლობაში არ მოხსნილა, ბოლოს იგი ჯიჯი რივამ „დაამხო“). სწორედ იტალიის ნაკრებს უკავშირდება ჯუზეპე მეაცას უდიდესი მიღწევა — ის ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

იტალიური ფეხბურთის 30-იანი წლების ლეგენდა ჯუზეპე მეაცა იყო მთავარი გოლეადორი „სან-სიროზე“, სადაც მრავალჯერ მიუნიჭებია გულშემატკივრებისათვის გოლის გატანით გამოწვეული სიხარული „ინტერისა“ და „მილანის“ შემადგენლობაში ასპარეზობის დროს. აი, სწორედ ამიტომაც მიანიჭეს ამ ლეგენდის სახელი სტადიონ „სან სიროს“, რომელსაც ახლახან „მოღვაწეობის“ 76 წელი შეუსრულდა.

ამ ისტორიულმა მრავლისმნახველმა სტადიონმა ორჯერ უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს, ერთხელ — ევროპის პირველობის ფინალური ეტაპების მატჩებს, ჩემპიონთა თასის ორ ფინალსა და ჩემპიონთა ლიგის ერთ ფინალურ შეხვედრას. აქ, „სან-სიროზე“ უთამაშიათ პელეს და მარადონას., რივერას და სკიაფინოს, ვან ბასტენსა და მათეუსს, პლატინისა და გულიტს. სწორედ ამ სატდიონზე თამაშობს კახი კალაძე...



*მილანის „სტადიო ჯუზეპე მეაცა“ (სან-სირო) სტადიონი*

სახელწოდება „სან სირო“ უკავშირდება სტადიონის ადგილს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა სიროს ეკლესია მდებარეობდა ძველად. XX საუკუნის 20-იან წლებში საფეხბურთო კლუბ „მილანის“ პრეზიდენტი იყო ცნობილი მეწარმე პიეტრო პირელი, რომლის უშუალო ხელშეწყობით აიგო და 1926 წლის 19 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა სტადიონი „სან სირო“. პროექტის ავტორი იყო ულისე სტაკინი. სტადიონის გახსნის დღეს შედგა მილანური დერბი, რომელშიც „ინტერმა“ 6-3 გაანადგურა „მილანი“. მატჩს 35 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა (სტადიონი სწორედ ამ ტევადობის იყო მაშინ).

1934 წლის 3 ივნისს, „სან-სიროზე“ ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი იტალიისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. ავსტრიელებს 30-იან წლებში საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავდა, რომელთან ბრძოლა ყველა გუნდს უჭირდა. იტალიელი გუაიტის მიერ მატჩის მე-19 წუთზე გატანილი გოლი მასპინძლებისთვის ისტორიული იყო: 40 ათასმა მაყურებელმა იხილა არა მხოლოდ ავსტრიელთა დამარცხება პრინციპულ მატჩში, არამედ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის „დაბადება“.

საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგებიდან ორი წლის შემდეგ, იტალიელმა ფეხბურთელებმა ოლიმპიური ტურნირიც მოიგეს, რომლის ფინალშიც, ბერლინში, სწორედ რომ ავსტრიის ნაკრები დაამარცხეს!

ფეხბურთისადმი ინტერესის გაზრდამ თავისთავად საჭირო გახადა სტადიონებზე მაყურებელთა ტევადობის გაზრდა, 1939 წელს „სან-სიროსაც“ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და ეს სტადიონი უკვე 55 ათასი მაყურებლით შეხვდა იმავე წლის 19 მაისს, იტალია-ინგლისის მატჩს, რომელიც ფრედ 2-2 დასრულდა და ესეც ისტორიული იყო — ინგლისელები იმ დროს ხომ თავს მსოფლიო ჩემპიონებად თვლიდნენ...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1955 წლის შემოდგომისათვის, „სან-სირო“ უკვე 90 ათას მაყურებელს იტევდა. იქიდან მოყოლებული, 70-იანი წლების დასაწყისამდე, მილანური ფეხბურთის აყვავების ეპოქა იყო. თავად განსაჯეთ: „ინტერმა“ ხუთჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ — ჩემპიონთა თასი. ამდენჯერვე — საკონტინენტთაშორისო თასი. რაც შეეხება „მილანს“, ამ უკანასკნელმაც ხუთჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედლები, ორჯერ — ჩემპიონთა თასი, თითოჯერ — თასების მფლობელთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი და იტალიის თასი.

1966 წლის 1 ნოემბერს „სან-სიროზე“ ერთმანეთს შეხვდნენ „სკუადრა აძურა“ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები. იტალიელებმა გუარნერის მიერ 22-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვეს და ამით რევანში აიღეს იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოელებთან დამარცხებისათვის. 1966 წლის 1 ნოემბრის მატჩში საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: იაშინი, ანდრეიუკი (აფონინი), შესტერნიევი, დანილოვი, ლენევი. (პორკუიანი), ხურცილავა, ჩისლენკო, საბო, მალოფეევი, სტრელცოვი, ბიშოვეცი.

70-იან წლებში მილანური ფეხბურთის აღმასვლა შეჩერდა. იმ პერიოდში „ინტერიც“ და „მილანიც“ სიძნელეებს განიცდიდნენ. 1971 წელს „ინტერმა“ ჩემპიონატი მოიგო, ეს წარმატება გაიმეორა... 9 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაისაკუთრა ქვეყნის თასი. „მილანმა“ 1972-73 წლების სეზონში ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, ქვეყნის თასი სამჯერ მოიგო, ჩემპიონის ოქროს მედლები კი მხოლოდ 1979 წელს, რის შემდეგაც უფრო მძიმე დრო დაუდგა: ორჯერ ჩამოქვეითდა სერია „ბ“-ში და ორივეჯერ მოახერხა ელიტარულ ეშელონში კვლავ დაბრუნება.

80-იანი წლების მიწურულს, სტადიონი „სან-სირო“, რომ იტყვიან, „მეორედ დაიბადა“. მას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის წინ. ამავე პერიოდს უკავშირდება „მილანის“ მეორე აღმასვლაც, — ამ გუნდის სადავეები ხომ სილვიო ბერლუსკონის ხელში აღმოჩნდა...

90-იან წლებში „მილანმა“ ხუთჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი, სამჯერ — ქვეყნის სუპერთასი, ამდენივეჯერ — ევროპის სუპერთასიც. 1989, 1990 და 1994 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა, 1989 და 1990 წლებში — საკონტინენტთაშორისო თასი... ეს თავბრუსდამხვევი ტრიუმფი „მილანის“ მაშინდელი მოთამაშეების, მწვრთნელებისა და, რაც მთავარია, — სილვიო ბერლუსკონის დამსახურება იყო.

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე „მილანში“ უამრავმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. გუნდი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს როგორც ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში.

***დღეს კახი კალაძე და მისი თანაგუნდელები უმნიშვნელოვანეს მატჩს ატარებენ მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ.*** ასე რომ, „სან-სიროს“ ისტორიულ წიგნს კიდევ ერთი „ფურცელი“ ემატება, საინტერესოა, როგორი იქნება იგი — „ოქროსი“?

ძნელი სათქმელია, თუ რა შედეგით დასრულდება დღევანდელი მატჩი, თუმცა, ერთი რამ ცხადია, „სან სირო“ მაინც მომავალი ტრიუმფების მოლოდინშია.

მოამზადა
თენგიზ ჩობანიძემ







*ზედა ფოტოზე — მსოფლიო ჩემპიონატი, 1938 წ. იტალია-საფრანგეთის მატჩის წინ. მარცხნივ: იტალიელთა კაპიტანი ჯუზეპე მეაცა; ზედა ფოტოზე — იუგოსლავიელებთან მატჩის წინ. 1938 წ. ჯუზეპე მიუძღვის იტალიის ნაკრებს.*





# 33 საუკეთესოთა შორის...

## ეს ჩვენი საფეხბურთო ისტორიაცაა

ვაგრძელებთ პუბლიკაციას თუ როგორ იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა წლებში, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები.

### 1954 წელი.

***მარჯვენა ნახევარმცველები:*** 1. იგორ ნეტო („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. **გიორგი ანთაძე** („დინამო“, თბილისი), 3. ვლადიმერ სავდუნინი („დინამო“, მოსკოვი);

***მარცხენა შუამარბები:*** 1. **ავთანდილ ღოღობერიძე** („დინამო“, თბილისი), 2. ანატოლი ისაევი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ვალენტინ ივანოვი („ტორპედო“ მოსკოვი);

***ცენტრალური თავდამსხმელები:*** 1. ნიკიტა სიმონიანი („სპარტაკი“ მოსკოვი), 2. **ანდრო ზაზროევი** („დინამო“ კიევი), 3. ალეკპერ მამედოვი („დინამო“ მოსკოვი).

### 1955 წელი.

***მარცხენა შუამარბები:*** 1. სერგეი სალნიკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. **ავთანდილ ღოღობერიძე** („დინამო“, თბილისი), 3. გენრიხ ფედოსოვი („დინამო“, მოსკოვი);

### 1956 წელი

***მარჯვენა მცველები:*** 1. ნიკოლოზ ტიშენკო („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ანატოლი პორხუნოვი (ცდსა, მოსკოვი), 3. **ვლადიმერ ელოშვილი** („დინამო“, თბილისი);

***მარჯვენა ნახევარმცველები:*** 1. იგორ ნეტო („სპარტაკი“ მოსკოვი), 2. ალექსანდრე პეტროვი (ცდსა, მოსკოვი), 3. **ავთანდილ ღოღობერიძე** („დინამო“, თბილისი);

***მარჯვენა გარემარბები:*** 1. ბორის ტატუშინი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. **ბორის ხასაია** („დინამო“, თბილისი), 3. გერმან აპუხტინი („ლოკომოტივი“, მოსკოვი);

### 1957 წელი

1957 წელს საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის პირველად დაასახელეს მოსკოვის „ტორპედოს“ მარჯვენა გარემარბი **სლავა მეტრეველი.**

***მარჯვენა მცველები:*** 1. მიხეილ ოგონკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ევგენი როგოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), 3. **ვლადიმერ ელოშვილი** („დინამო“, თბილისი);

***მარჯვენა გარემარბები:*** 1. ბორის ტატუშინი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. **სლავა მეტრეველი** („ტორპედო“, მოსკოვი), 3. გერმან აპუხტინი („ცსკ-მო“).

### 1958 წელი

1958 წელს ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის პირველად დაასახელეს თბილისის „დინამოელი“ **მიხეილ მესხი.**

***მარჯვენა გარემარბები:*** 1. **სლავა მეტრეველი** („ტორპედო“, მოსკოვი), 2. ვადიმ რედკინი („კრილია-სოვეტოვი“ კუიბიშევი), 3. ვალერი ურინი („დინამო“, მოსკოვი);

***მარცხენა გარემარბები:*** 1. ანატოლი ილინი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. დიმიტრი შაპოვალოვი („დინამო“, მოსკოვი), 3. **მიხეილ მესხი** („დინამო“, თბილისი).

ქვეყნდება დურმიშხან ცინცაძის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, მისივე რედაქციით.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №88-91

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1) ვინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი ფეხბურთში მეორე მსოფლიო ჩემპიონატში იტალია — ავსტრიის ნახევარფინალურ მატჩში, რამაც იტალიელები ფინალში გაიყვანა?***
ა) მონტი, ბ) გუაიტა, ბ) ორსი;

***2) ვინ დაამარცხა ავსტრიის ნაკრები ოლიმპიურ საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში 1936 წელს?***
ა) იტალიამ, ბ) გერმანიამ, გ) საფრანგეთმა;

***3) რომელ წელს ჩაუტარდა პირველი რეკონსტრუქცია „სან სიროს“ სტადიონს?***
ა) 1937 წელს, ბ) 1938 წელს, გ) 1939 წელს;

***4) რომელი ქვეყნის ნაკრებთან დამარცხდა საბჭოთა კავშირის ნაკრები ნახევარფინალში 1966 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში?***
ა) ინგლისის, ბ) გფრ-ის, გ) პორტუგალიის;

***5) რამდენი გუნდი მონაწილეობდა მსოფლიოს IV ჩემპიონატში?***
ა) — 13, ბ) — 14, გ — 16.

პასუხები იხ. მე-6 გვერდზე. თქვენთვის, ერუდიტებო!







# ფრანგებმა შემადგენლობა დაასახელეს

**29 ნოემბერს, ქ. ბერსის სპორტული კომპლექსის კორტებზე დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი დაიწყება რუსეთისა და საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ფრანგებმა უკვე გამოაცხადეს, რომ თავიანთი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ სებასტიან გროჟანი, არნო კლემანი, ნიკოლ ესკიუდე და ფაბრის სანტორო.**

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, მისი შემადგენლობა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ იყო ცნობილი: ევგენი კაფელნიკოვი, მარატ საფინი, მიხაილ იუჟნი და ანდრეი სტოლიაროვი. დევისის თასის მფლობელი გუნდი 1 დეკემბერს გამოვლინდება.

# მაიკლ ჯორდანს საყვარელი არ ეშვება...



ნბა-ს ლეგენდარულ კალათბურთელს სასამართლოში უჩივლა ყოფილმა საყვარელმა, რესტორნის მომღერალმა კარლა კნაფელმა, რომელსაც მაიკლ ჯორდანი ადანაშაულებს შანტაჟის მოწყობის მცდელობაში... 10 წლის წინ.

**როგორც ირკვევა, 1989-91 წლებში კნაფელსა და ჯორდანს ერთმანეთთან სასიყვარულო რომანი აკავშირებდათ.**

**კნაფელი ამტკიცებს, რომ 1991 წელს, როცა ერთმანეთს დაშორდნენ, ჯორდანმა (სურათზე) შესთავაზა მას 5 მილიონი დოლარი „დუმილისათვის“, თუმცა ბოლოს მოატყუა და მხოლოდ 250 ათასი გადაუხადა.**

ჯორდანის ადვოკატმა თავის მხრივ განაცხადა, რომ კარლა კნაფელის მტკიცებულებას საფუძველი არ გააჩნია და მისი კაპრიზები მხოლოდ ფულის გამოძალვის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

# ფინელ ჰოკეისტებს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ

**ფინეთის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ქვეყნის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. გუნდის ამჟამინდელ თავკაცს ჰან არავირტს შეცვლის რაიმო სუმანენი. 34 წლის სუმანენი ცნობილი ჰოკეისტია, რომელმაც 1995 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გასულ სეზონში ის ხელმძღვანელობდა „იოკერიტს“ და ეს გუნდი ფინეთის ჩემპიონი გახადა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სენეგალის ნაკრებს კვლავ ფრანგი უხელმძღვანელებს

**სენეგალის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ფრანგი სპეციალისტი გი სტეფანი** (სურათზე), რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა თანამემამულე ბრუნო მეტსიუ. შეგახსენებთ, რომ სწორედ მეტსიუს თავკაცობით, სენეგალელმა ფეხბურთელებმა მანამდე არნახულ წარმატებას მიაღწიეს — მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდნენ. 45 წლის სტეფანმა სენეგალის ნაკრებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მანამდე კი „ლიონსა“ და „ბორდოს“ წვრთნიდა. გარდა ამისა, საფრანგეთის ნაკრების მეორე მწვრთნელადაც უმუშავია.



## მაროკოს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

**მაროკომ ოფიციალური კანდიდატურა წარმოადგინა მსოფლიოს 2010 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მისაღებად.** საინტერესოა, რომ აქამდე მაროკო მსოფლიოს 1994, 1998 და 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისათვის იბრძოდა, თუმცა, უშედეგოდ. ამ ქვეყნის შანსი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ფიფამ ოფიციალურად განაცხადა, რომ 2010 წელს მუნდიალი აფრიკის კონტინენტზე გაიმართება: აღნიშნული ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა 2004 წელს დადგინდება.

---

**აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი ბათუმის „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი ფეხბურთელის, ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მოამაგისა და პიროვნების**

**კახი ასათიანის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ფეხბურთელის, სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის და შესანიშნავი პიროვნების**

**კახი ასათიანის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის ინსტრუქტორს ნოდარ კაკულიას გარდაეცვალა დედა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

პანაშვიდი — 26-27 XI, 16 საათზე.
გამოსვენება — 28 XI, 14 საათზე
მისამართი: მუხიანის III მ/რნი, მე-15 კორპ, I სად.

---

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი**

**ალექსანდრე (შურა) ცხოვრებაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

გამოსვენება 26 XI, 14 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ 27, III სადარბ, VI სართ.

---

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს მარინა დარასელიას მეუღლის რევაზ ბოჭორიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

---

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ვეტერან ფეხბურთელს ენუქი თევზაძეს გარდაეცვალა მამა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი, პირადად მისი თავმჯდომარე გურამ სალარაძე, ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს სათაყვანო მამულიშვილის, ლეგენდარული ფეხბურთელისა და სპორტული მოძრაობის ნიჭიერი ორგანიზატორის**

**კახი ასათიანის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**აჭარის სპორტის დეპარტამენტი, სეოკ-ის აჭარის ორგანიზაცია და აჭარის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის პრეზიდენტის**

**კახი ასათიანის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, პირადად მისი პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი ღრმა გულისტკივილითა და მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სპორტსმენი და ქართული სპორტის გამოჩენილი ორგანიზატორი, უბრწყინვალესი პიროვნება**

**კახი ასათიანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია, საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა — ვერე“, პირადად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ვლადიმერ გოიაშვილი საქართველოს მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად აღშფოთებულია ქართული სპორტის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, სიკეთით აღსავსე ადამიანის**

**კახი ასათიანის**

**ვერაგული მკვლელობით და ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი სპორტსმენისა და სპორტული მოღვაწის**

**კახი ასათიანის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს**

**კახი ასათიანის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და პირადად მისი პრეზიდენტი — ჯანსულ ბაგრატიონი ღრმა სამძიმარს უცხადებენ სპორტული მედიცინის ცნობილ სპეციალისტს, პროფესორ დიმიტრი წვერავას დის გარდაცვალების გამო.**

---

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




26 ნოემბერი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „მილანი“ – „რეალი“ (23.40), ჩ/ლ-ის მიმოხილვა (2.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (20.00), *მე-9 არხი.* „მსოფლიო რაგბი“, (12.00), *НТВ.* ჩემპიონთა ლიგა: მოსკოვის „ლოკომოტივი“ – „ბორუსია“ (20.40), *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15, 16.45, 19.20), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.45), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (21,30), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.25), ჩემპიონთა ლიგა (1.35, 2.20 – პირდაპირი რეპორტაჟი), *НТВ плюс спорт.* ბატუტზე ხტომა, მსოფლიო თასის ფინალი (11.45), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.00), დევისის თასის ისტორია (23.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (18.30),ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00, 20.00), ბილიარდი. ევროპის თასი (17.30), თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი (22.30).

27 ნოემბერი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: თბილისის „დინამო“ – ქუთაისის „ტორპედო“, რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახ. სტადიონიდან (15.00), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (15.20), „რომა“ – „არსენალი“ (23.40), მიმოხილვა (2.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (11.20, 22.30), *НТВ.* ჩემპიონთა ლიგა: „რომა“ – „არსენალი“ (23.35), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 16.40, 20.30, 1.35), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.45), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.15), ჩემპიონთა ლიგა. პირდაპირი ტრანსლაცია (2.20), *НТВ плюс спорт.* დევისის თასის ისტორია (15.00), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (15.55), კოსიკი-კარატე. რუსეთის ღია თასი (20.30), დევისის თასი ფინალების წინ (22.25), პროფესიული კრივი: არტურო გატი – მიკი უორდი (2.25). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ბილიარდი. ევროპის თასი (15.15), თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, მსოფლიო თასი (16.45, 18.15), ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის ლეგენდები (20.15), ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (20.30).

28 ნოემბერი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (11.20, 20.00). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 18.25, 21.05), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.15), „ფუტბოლ მუნდიალი“ (20.35, 0.50), ჩემპიონთა ლიგა. მე-2 ეტაპის I-ლი ტურის მატჩების მიმოხილვა (22.50), ინგლისის ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (2.50), *НТВ плюс спорт.* პროფესიონალური კრივი (14.15), დევისის თასის ფინალების წინ (17.00), დევისის თასის ფინალების წილისყრა (22.25), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.55). *EUROSPORT.* ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. მსოფლიო თასი (11.30), გრანდ ტურინგი. იაპონიის 2002 წლის ჩემპიონატი (15.00), ავტორბოლა. საერთაშორისო რბოლები. ბრაზილიიდან (15.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები: დანია-1992 (17.30), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30), ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები. გერმანია – ნიდერლანდები (22.00), უეფას თასი. მიმოხილვა (2.15).

# კროსვორდი № 92



თარაზულად: 1. პროფესიონალი მოკრივე, 5. გადაწოდება ანუ... 7. ძიუდოისტის ჩოხა, 8. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთლი, 9. ჩია ტანის ცხენი, 10. ქართულ ჭიდაობაში ფალავნის ჩასაცმელი, 13. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში, 16. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე, 17. ზამთრის სპორტის სახეობა, 20. „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 21. მშვილდით სატყორცნი, 22. გაფრთხილება ძიუდოში.

შვეულად: 1. ხორვატი ვეტერანი ფეხბურთელი, ყოფილი მილანელი, 2. მწვერვალი კავკასიონზე, 3. ინძგის მეტსახელი, 4. ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, XX საუკუნის 50-60-იან წლებში გამოდიოდა საფრანგეთის ნაკრებში, 6. წარსულში ცნობილი ვაჟი მორბენალი, ოლიმპიადის მონაწილე, 9. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი არაქართველი ფეხბურთელი. 11. ძიუდოში სამსაჯო ტერმინი, 12. არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 14. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 15. ილეთი ჭიდაობაში, 18. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 19. პროფესიონალი მოკრივე.

## კროსვორდი №91 პასუხები

თარაზულად: 6. კრამლინგი, 8. აჯოევი, 9. ნარსია, 11. პონედელნიკი, 13. ბოუ, 15. ლახტი, 17. ბურჯანაძე, 18. ზონინი, 19. „ამირანი“.

შვეულად: 1. „სკონტო“, 2. ბიბა, 3. „აია“, 4. აპოლონი, 5. ნავი, 7. მასოპუსტი, 10. მიუნხენი, •12. ესებუა, 13. ბლანკო, 14. „ადანა“, 16.საკი.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ბლაძაიხი, 1978 წ.



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:

1. მh3! 1. ...მფe5 2. კg7+ მფf5 3. g4X.
1. ...მფd3 2. მf2+ მფd2 3. კb4X.
2. ...მფd4 3. კg7X.

---

თქვენთვის, ერუდიტებო! პასუხები:
1) — ბ, 2) — ა, 3) — გ, 4 — ბ, 5) — ა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე